ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინტელექტი
ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი

# ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

# პრესრელიზი

2017 წლის 2 მარტს, 13 საათზე **ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“** ორგანიზებით, პროექტის - „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში, ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში გაიმართება საჯარო შეხვედრა „თურქეთის რესპუბლიკაში შრომითი მიგრანტების უფლებების დაცვის მექანიზმები“.

შეხვედრას ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტის“ იურისტი გიორგი სურმანიძე გაუძღვება, რომელიც ისაუბრებს თურქეთის კანონმდებლობის შესახებ, თურქეთის რესპუბლიკაში შრომითი მიგრანტების უფლებების დაცვის მექანიზმებსა და რისკებზე, რაც თან ახლავს არალეგალურ დასაქმებას.

ტრენინგი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- კანონის იერარქია, თურქული შრომის კანონმდებლობა და თურქული სასამართლო;
- არალეგალური შრომითი მიგრაცია და მასთან დაკავშირებული რისკები;
- ანაზღაურების მოთხოვნის უფლება;
- ინდივიდუალური და კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებები;
- კონტრაბანდა და მასთან დაკავშირებული საფრთხეები;

საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრების მიზანია ხელი შეუწყოს ეკოლოგიურ და შრომით მიგრანტებს საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების რეალიზაციაში, ასევე მათი ინფორმირებულობის დონის ამაღლებაში საზღვარგარეთ არალეგალური დასაქმების დროს არსებული საფრთხეების, შრომითი ტრეფიკინგის თავიდან აცილების საშუალებების, საკუთარი უფლებების დაცვის სამართლებრივი მექანიზმების, მეზობელ სახელმწიფოებში ლეგალური დასაქმების შესაძლებლობის შესახებ.

საჯარო შეხვედრები აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტის (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური და ქობულეთი) 63 თემში ჩატარდება.

**მისამართი**: დაბა ქედა, მერაბ კოსტავას ქ. №3, ქედის მუნიციპალიტეტის სააქტო დარბაზი;

**დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:**

**ტელ**: (0422) 241640, 241650; 599 000 664

**ელ. ფოსტა:** saloabuladze@intellect.org.ge

**საკონტაქტო პირი:** სალომე აბულაძე